

საგარეჯო სახალხო დღესასწაულები

აპრილი-მაისი

ბერიკაობა - სოფ. პატარა ჩაილურში აღინიშნება გაზაფხულის შემობრძანება, იმართება თეატრალიზებული წარმოდგენა.

მაისი

გოგლაობა- სოფ. პატარძეულიში იმართება გოგლას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო , ადგილობრივი და მოწვეული სტუმრები კითხულობენ გოგლას ლექსებს, ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით იმართება კონცერტი.

მაისი-ივნისი

აქ მთელი საქართველოა - სოფ. უდაბნოში იმართება დოღი, კონცერტი, ადგილობრივი და მოწვეული კოლექტივების მონაწილეობით, ასევე ეწყობა კულინარიული ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა.

ივნისი

რეზობა- სოფ. ხაშშიში იმართება რეზო ინანიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, იმართება თეატრალიზებული წარმოდგენა რეზო ინანიშვილის მოთხრობებიდან. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები.

ივლისი

ვაჟაობა - სოფ. კოჭბაანში იმართება ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.